სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/50

ქ. თბილისი 25 დეკემბერი 2020

სტუ-ის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი) აღნიშნავს, რომ მიმდინარე წლის 24 დეკემბერს №0001227566 წერილით სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა სენატს დასამტკიცებლად წარმოუდგინა 2021 წლის ბიუჯეტის პროექტი, სტუ-ის 2021 წლის ბიუჯეტის შედგენის წესის დაცვით. უნივერსიტეტის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია მოქმედი კანონმდებლობისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც აერთიანებს შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებით ოპერაციების კლასიფიკაციას, ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების, ასევე მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას.

სტუ-ის 2021 წლის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვრა 57 137 450 ლარით, რაც 6 053 815 ლარით მეტია წინა წლის შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებელზე. აღნიშნული სხვაობა შეადგენს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელ თანხას.

გადასახადები განისაზღვრა 57 137 450 ლარით. უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის წლიური სახელფასო ფონდი განსაზღვრულია 16 181 394 ლარით, ხოლო საშტატო რიცხოვნობა 1 215 ერთეულით. სტუ-ის ადმინისტრაციის, ფაკულტეტების ადმინისტრაციების და დამხმარე პერსონალის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 1309,5 საშტატო ერთეულით, წლიური სახელფასო ფონდით – 811 009 896 ლარი. არასაპენსიო

ასაკის თანამშრომლებისთვის კორპორაციული დაზღვევის ხარჯები – 250 000 ლარის ოდენობით.

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლის მაღალი ხვედრითი წილი (14.5%) დაკავშირებულია საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების პროგრამის ფარგლებში დიდი ჯიხაიშის კოლეჯის სრული სარეაბილიტაციო (6 232 130 ლარი) და პროგრამების აკრედიტაციისათვის (871 460 ლარი) განკუთვნილ თანხებთან.

განსაკუთრებით ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ ქვეყანაში პანდემიის გავრცელებით გამოწვეული მძიმე ეკონომიკური კრიზისის და უნივერსიტეტში სწავლის, სწავლების და მეცნიერული კვლევების ჩატარების განსაკუთრებული რეჟიმის პირობებში, უნივერსიტეტის რექტორატმა და ადმინისტრაციამ 2019-2020 სასწავლო წელს შეძლო თანამშრომლებისათვის ხელფასის დროული გაცემა, შეასრულა ყველა სოციალური ვალდებულება და უფრო მეტიც, წარმოდგენილი 2021 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმა პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასის 15%-ით გაზრდა, 1500-მდე თანამშრომლისათვის სადაზღვევო კომპენსაცია და 100 000 ლარი სამეცნიერო ხარჯებისათვის, კერძოდ, სამეცნიერო შრომების გამოქვეყნებისათვის იმპაქტფაქტორიან ჟურნალებში.

სენატს მიაჩნია, რომ მიუხედავად გარკვეული დადებითი ღონისძიებებისა უნივერსიტეტის ახალი ხელმძღვანელობის მიერ, დასამტკიცებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი მოითხოვს შემდგომ სრულყოფას, იგი სათანადოდ ვერ პასუხობს პროგრამული ბიუჯეტის მოთხოვნებს. ბიუჯეტის კლასიფიკატორის მიხედვით გაწერილი ხარჯვითი ნაწილის მაჩვენებლები არ არის უზრუნველყოფილი მიზნობრივი პროგრამებით. ბიუჯეტში დასაბუთების გარეშეა გაზრდილი შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების ხარჯები, დაახლოებით 3 მილიონით.

სენატი თვლის, რომ უნივერსიტეტის საშტატო განრიგი საჭიროებს სერიოზულ ანალიზს. ირკვევა, რომ სტუ-ის ფაკულტეტების ადმინისტრაციებში დასაბუთების გარეშე არის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოები და მნიშვნელოვნად არის გაზრდილი რიცხოვნობა, შესაბამისად, მმართველობითი ხარჯები. ამ საკითხისადმი არ არის ერთიანი სისტემური მიდგომა. ამასთან ერთად სერიოზულ შესწავლას საჭიროებს უცხოელ სტუდენტთა სწავლების დაფინანსების მენეჯმენტი. ამ პრობლემის ძირითადი პარამეტრების შესწავლით დადგინდა, რომ ამჟამად არსებული მდგომარეობით მათი მომზადებისათვის გაწეული ხარჯები მნიშვნელოვნად ჭარბობს შემოსავლებს, რაც

უახლოეს მომავალში უნდა დარეგულირდეს. უნდა გაანალიზდეს უნივერსიტეტში მოქმედი დიზაინის სკოლის დაფინანსების საკითხიც.

სენატი უნივერსიტეტის რექტორატის და ადმინისტრაციის ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ წარმოდგენილი ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი ძირითადად განსაზღვრულია სტუდენტთა სწავლის საფასურის ბაზაზე, პრაქტიკულად არავითარი მუშაობა არ ტარდება კანონით მინიჭებული ეკონომიკური და კომერციული საქმიანობის გეგმაზომიერად წარმართვაზე და ამ გზით შემოსავლების შესაძლებელ გაზრდაზე. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტში მიმდინარე სამეცნიერო კვლევის დანერგვის შედეგების ფინანსური სარგებელი არ არის ასახული ბიუჯეტში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის მე-18 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების" მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი), კარლო კოპალიანის 2020 წლის 24 დეკემბრის №0001227566 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 25 დეკემბრის №01-06-02/13 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

დამტკიცდეს სტუ-ის 2021 წლის ნაერთი ბიუჯეტი (დანართი №1).

I. საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 57 137 460 ლარით, მათ შორის:

1. შემოსავალი სწავლებიდან — 46 209 190 ლარით;
2. სამეცნიერო კვლევითი გრანტების, კერძოდ, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან შემოსავალი — 1 707 640 ლარით;
3. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები — 2 960 000 ლარით (იჯარა — 700 000 ლარი; დეპოზიტები — 60 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი — 1 800 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები — 100 000 ლარი; სს საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა — 300 000 ლარი);
4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება — 6 232 130 ლარით;

5. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“ — 28 500 ლარით.

II. გადასახდელები შესაბამისად განისაზღვროს 57 137 460 ლარით, მათ შორის:

1. „შრომის ანაზღაურება“ — 27 642 890 ლარით;
2. „საქონელი და მომსახურება“ — 17 118 283 ლარით;
3. „გრანტები“ — 20 000 ლარით;
4. „სოციალური უზრუნველყოფა“ — 52 780 ლარით;
5. „სხვა ხარჯები“ — 4 009 004 ლარით;
6. „არაფინანსური აქტივების ზრდა“ — 8 294 503 ლარით.

2021 წლის ნაერთ ბიუჯეტში „შრომის ანაზღაურების“ წილი ასიგნებების მიმართ შეადგენს 48,4 %-ს; „საქონელი და მომსახურების“ წილი – 30,0 %-ს, „გრანტების“ – 0,04%-ს; „სოციალური უზრუნველოფის“ – 0,1%-ს; „სხვა ხარჯების“ – 7,0%-ს, ხოლო „არაფინანსური აქტივების ზრდის“ – 14,5%-ს.

III. დამტკიცდეს სტუ-ის ფაკულტეტების 2021 წლის ბიუჯეტები (დანართი №2), მათ შორის:

1. სამშენებლო ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 210 250 ლარით; ასიგნებები — 3 838 090 ლარით;
2. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 421 375 ლარით; ასიგნებები — 2 991 260 ლარით;
3. სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 366 830 ლარით; ასიგნებები — 2 313 37 ლარით;
4. ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 009 250 ლარით; ასიგნებები – 2 301 365 ლარით, ანუ ფაკულლტეტი დეფიციტურია და შეადგენს 292 115 ლარს;
5. სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 281 900 ლარით; ასიგნებები — 3 462 495 ლარით;
6. არქიტექტურის, ურბანისტიკისა და დიზაინის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 2 315 375 ლარით; ასიგნებები —1 576 915 ლარით;
7. ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 578 625 ლარით; ასიგნებები — 2 566 260 ლარით;

8. საინჟინრო ეკონომიკის, მედიატექნოლოგიებისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 3 814 250 ლარით; ასიგნებები — 3 527 125 ლარით;
9. სამართლისა და საერთაშორისო ურთიერთობების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 5 498 875 ლარით; ასიგნებები — 2 725 895 ლარით;
10. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 7 204 280 ლარით; ასიგნებები — 6 573 130 ლარით;
11. აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 4 128 005 ლარით; ასიგნებები — 2 672 240 ლარით;
12. დიზაინის საერთაშორისო სკოლის ფაკულტეტის საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 380 175 ლარით; ასიგნებები — 559 205 ლარით, ანუ ფაკულტეტი დეფიციტურია და დეფიციტის თანხა შეადგენს 179 030 ლარს.

სულ ფაკულტეტების საშემოსავლო ნაწილი განისაზღვროს 46 209 190 ლარით, ასიგნებები — 35 107 355 ლარით.

IV. დამტკიცდეს:

1. შემოსავალი სწავლებიდან — 4 6 209 190 ლარით;

2. სამეცნიერო კვლევითი გრანტების, კერძოდ, სსიპ – შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტებიდან შემოსავალი — 1 707 640 ლარით;

3. კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები — 2 960 000 ლარით (იჯარა — 700 000 ლარი; დეპოზიტები — 60 000 ლარი; სახელშეკრულებო თემებიდან და ცენტრებიდან შემოსავალი — 1 800 000 ლარი; მეიჯარეების მიერ გადასახდელი კომუნალური გადასახადები — 100 000 ლარი; სს საქართველოს ბანკის ფინანსური მხარდაჭერის თანხა — 300 000 ლარი);

4. საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარება — 6 232 130 ლარით;

5. პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამა „ამფეთქებელი“ — 28 500 ლარით.

V. ნება დაერთოს ადმინისტრაციის ხელმძღვანელს სტუ-ის 2021 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში წლის განმავლობაში ცვლილებების განხორციელებაზე მთლიანი ასიგნების 7 %-ის ფარგლებში;

VI. სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა (პროფესორი კარლო კოპალიანი) უზრუნველყოს:

1. ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილის განუხრელი შესრულება;

2. ფაკულტეტის დეკანებთან ერთად ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით განსაზღვრული ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ყველა პარამეტრის შესაბამისად შემუშავებული მიზნობრივი პროგრამებით დაგეგმილი და სტრუქტურული რეორგანიზაციის შედეგების გათვალისწინებით დაზუსტებული ნაერთი ბიუჯეტი დასამტკიცებლად წარუდგინოს სენატს 2021 წლის მარტის თვეში.

3. შეიმუშაოს უნივერსიტეტში ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის განვითარების პროგრამა და უზრუნველყოს მისი შესრულება;

VII. ეთხოვოს სტუ-ის რექტორს (პროფესორი დავით გურგენიძე):

ა) შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში განახორციელოს უნივერსიტეტის საშტატო განრიგის სტრუქტურული რეორგანიზაცია, როგორც გადაუდებელი აუცილებლობა. ოპტიმიზირებული საშტატო განრიგის პროექტი დასამტკიცებლად წარმოადგინოს სენატში 2021 წლის მარტის თვეში;

ბ) საქართველოში მოქმედი უნივერსიტეტების გამოცდილების გათვალისწინებით ჩამოაყალიბოს უცხოელი სტუდენტების მომზადების თვითდაფინანსებაზე მოქმედი შესაბამისი სტრუქტურული ერთეული და დასახოს ქმედითი ღონისძიებები სწავლების ამ ფორმის ეკონომიკური ეფექტურობის ასამაღლებლად.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**